

საქართველოს



იმისთანა წმინდა საცემში, ბოგბოტიც ბეჭდუბი სიფყაა, ცყდილებით და ჭბბბბით ბუბბის გაცანა ყველა უკადრბბბბე უსაბაგლებია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 8 ოქტომბერი, 2014 წელი.

№206 (7587)

რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge **ვებ გვერდი: www.open.ge** **ფასი 50 თეთრი.**

ჩიორა კი უსტვენს და აფრენს კიდეც, მებრამ...

სანამ უნდა ვითიინოთ არამზადათა პარკაუბი?

5

იხარე, ვიცხე-მერო, იუიფილა ერო!

ბატონო ბიბინა, რადგანაც აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ თქვენს კუთვნილ ფირმებში არ დაუნიშნავდით არც ერთ ადამიანს იმ რაოდენობის ხელფასს, რაც მის მიერ განეული სამუშაოსგან მიღებულ შედეგს არ შეესაბამება, მინდა, გკითხოთ: – რატომ უნდა დაუნიშნოს ქართველმა ხალხმა უზარმაზარი ხელფასები იმ ადამიანებს, რომელთა მიერ შესრულებული სამუშაო არ შეეფერება გადახდილ თანხებს?

4

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება № 427

„ 1 „ სექტემბერი 2014 წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანოების საჯარო მოსამსახურეებზე დანაშაულის გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ი“ ქვეპუნქტისა და 166-ე მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „ქ. თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 7 მარტის N5-5 გადაწყვეტილების საფუძველზე.

ივანიშვილის „აკოლიფიკური“ ოქტომბერი 3

ნაციონალი თარგამაძის მორიბი სისრუე 2

დანართი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2014 წლის აგვისტოს № ბრძანების

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანოების საჯარო მოსამსახურეებზე 2014 წლის სექტემბრიდან გასაცემი დანაშაულის

(ლარებში)		
№	თანამდებობის დასახელება	ყოველთვიური დანაშაული ერთეულზე
1	მერიის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი)	3540
2	მერიის მოადგილე	3360
3	მერიის ადმინისტრაციის უფროსი	3180
4	მერიის ადმინისტრაციის უფროსის პირველი მოადგილე	2000
5	მერიის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე	1800
6	მერიის ადმინისტრაციის სამსახურის უფროსი	1700
7	მერიის ადმინისტრაციის სამსახურის უფროსის მოადგილე	495
8	მერიის ადმინისტრაციის სამსახურის განყოფილების უფროსი	400
9	მერიის აპარატის (სამსახურის) უფროსი	1700
10	მერიის პირველი მოადგილის (ვიცე-მერის) აპარატის (სამსახურის) უფროსი	510
11	მერიის მოადგილის (სამსახურის) აპარატის უფროსი	510

ქართული მუსიკა რუსეთელ ფიზიკოსთა ქალაქში

26 სექტემბერი 19:00

დკ «МИР» Малый зал

ფესტივალი კლასიკური ინსტრუმენტული მუსიკის «Звучание Души»

ვაჟა აზარაშვილი

ავტორული საღამო

7

8 ორი წიგნის ანდამატი

თეოიკო

ნოდარი ცურცაძე (ოზი)

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სვამბან ვერ ნახავ!..



იმსჯელეს თანამშრომლობის გაღრმავებაზე

საბარტველს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიბაშვილიმ საომხეთის რესპუბლიკის ეროვნული ასამბლეის თავმჯდომარის გალუსტ საჰაკიანის ხელმძღვანელობით საომხეთის დელეგაცია მიიღო. როგორც „ინტერპრესნიუსს“ პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურიდან აცნობეს, შეხვედრისას მხარეებმა ქვეყნებს შორის არსებული ურთიერთობა და თანამშრომლობის ასპექტები განიხილეს. საუბარი შეეხო საქართველო-სომხეთის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სავაჭრო და კულტურულ ურთიერთობას. ასევე აღინიშნა, რომ აუცილებელია, გაღრმავდეს თანამშრომლობა საქართველო-სომხეთის საპარლამენტო ჯგუფებს შორის.

როგორც გალუსტ საჰაკიანმა განაცხადა, სომხეთმა აირჩია ევრაზიის ეკონომიკურ კავშირში განეწერება, ხოლო საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას და, შესაბამისად, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებას, თუმცა ეს ხელს არ შეუშლის ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობის განვითარებას.

პრეზიდენტის მიერ წარდგენილ კანდიდატებს მხარი დაუჭირა

საბარტველს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა პრეზიდენტის მიერ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებად წარდგენილ კანდიდატებს მხარი დაუჭირა.

კომიტეტმა საქართველოს პრეზიდენტის მიერ უზენაესი სასამართლოს წევრის თანამდებობაზე ასარჩევად წარდგენილ კანდიდატებს ზურაბ ძლიერიშვილსა და ნინო ბაკაქურს მოუხმინა.

კომიტეტში ფარული კენჭისყრა გაიმართა, რის შედეგადაც კომიტეტის ექვსმა წევრმა ერთხმად მხარი დაუჭირა კანდიდატებს.

როგორც კომიტეტის სხდომის დაწყებამდე ჟურნალისტებთან საუბრისას კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიამ განაცხადა, პირადად მას აღნიშნული მოსამართლეების მიმართ კვალიფიკაციის, პროფესიონალიზმის, პიროვნული თვისებებისა და დამოუკიდებლობის ხარისხის თვალსაზრისით კითხვები არ აქვს და მათ კანდიდატურებს მხარს უჭერს.

კენჭისყრის შემდეგ ეკა ბესელიამ უზენაესი სასამართლოს და მოსამართლეობის კანდიდატებს წარმატება უსურვა და როგორც აღნიშნა, დარწმუნებულია, რომ მათ უმრავლესობის მხარდაჭერაც ექნებათ.

გიორგი მარგველაშვილმა უზენაეს სასამართლოში მოსამართლეების ვაკანტურ ადგილზე ნინო ბაკაქური და ზურაბ ძლიერიშვილის კანდიდატურები პარლამენტს მეორედ წარუდგინა.

რუსმა ოპოზანტებმა საბარტველს ორი მოქალაქე დააკავეს



საოპოზანტო ხაზთან მდებარე სოფელ ქვეშის სიახლოვეს, ოსური მხარის კონტროლირებად სოფელ ქვემო იკორთის განაპირას, რუსმა ფორმიანებმა, იკორთაში მცხოვრები ცოლ-ქმარი, კახა ყაზიშვილი და ზინა ნატრიაშვილი დააკავეს.

არსებული ინფორმაციით, დაკავებულები არცევის მილიციის განყოფილებაში გადაიყვანეს. ოსური მხარის კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებულ სოფელში მცხოვრები ცოლ-ქმარი სოფელ ქვეშის ახლო ნათესავების მონახულებას ცდილობდა.

როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი იუწყება, აღნიშნულ სოფლებს შორის მავთულხლართები ან სხვა სახის გამყოფი ბარიერები არ არსებობს. ქვეშის მაცხოვრებლები ამბობენ, რომ ბოლო ორი კვირის განმავლობაში, ე.წ. მესაზღვრეები უფრო აქტიურად გადაადგილდებიან.

ირაკლი ლარიბაშვილი სომხეთის ეროვნული კრების თავმჯდომარეს გალუსტ საჰაკიანს შეხვდა

საბარტველს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიბაშვილი სომხეთის ეროვნული კრების თავმჯდომარეს გალუსტ საჰაკიანს შეხვდა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურიდან აცნობეს, მხარეებმა ორი ქვეყნის ურთიერთობების შემდგომ გაღრმავებასა და კონკრეტულ სფეროებში თანამშრომლობის გააქტიურებაზე ისაუბრეს.

როგორც შესვედრაზე აღინიშნა, საქართველო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ორი ქვეყნის პარლამენტთაშორის თანამშრომლობისა და მეგობრობის ჯგუფების ურთიერთობების გააქტიურებას.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა და სომხეთის ეროვნული კრების თავმჯდომარემ ორი ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავებისთვის მზადყოფნა გამოთქვეს.



გალუსტ საჰაკიანის განცხადებით, ბოლო პერიოდის განმავლობაში ორი ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები და თანამშრომლობა სატრანსპორტო და ენერგეტიკის

სფეროში პოზიტიური მიმართულებით ვითარდება.

შესვედრაზე ასევე ხაზი გაესვა კულტურული მემკვიდრეობის სფეროში თანამშრომლობის მნიშვნელობას.

პრემიერის შეხვედრა გუბერნატორებთან



საბარტველს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიბაშვილმა მთავრობის ადმინისტრაციაში მხარის რწმუნებულებთან სამუშაო შეხვედრა გამართა. პრემიერის პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრაზე საუბარი რეგიონებში არსებულ მდგომარეობას შეეხო. პრემიერმა გუბერნატორებისგან მოისმინა ინფორმაცია რეგიონებში მიმდინარე პროექტების შესახებ.

შესვედრას მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი აკაკი ჩხენკელი დაესწრო.

შესვედრას მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი აკაკი ჩხენკელი დაესწრო.

ნასიონალი თარგამაქის მორიბი სისრუე

საყდრის-ყაჩაღიანის სტატუსის საკითხი დასკვნითი არქეოლოგიური შესწავლით უნდა დადგინდეს

კომპანია „რიმენტალ-რუბი“, რომელიც წარმოადგენს საწარმოების „არემჯი გოლდისა“ და „არემჯი კოპერის“ გაერთიანებას, ავრცელებს ოფიციალურ განცხადებას და პასუხობს ნაციონალური მოძრაობისა და მისი წარმომადგენლის გივი თარგამაქის 6 ოქტომბერს, პრესკონფერენციაზე დაფიქსირებულ ბრალდებებს: ბატონი გივის განცხადებით, „არემჯი გოლდის“ 2014 წლის აპრილში, პრემიერ-მინისტრის განკარგულების საფუძველზე, ლიცენზიის ვადის გაგრძელება არის კორუფციული გარიგება, რის შედეგადაც სახელმწიფომ დაკარგა შემოსავალი, რის დაბრუნებას დასტურებლადც ასახელებს 2011 და 2012 წლებში სალიცენზიო გადასახადის სახით, „არემჯი გოლდის“ მიერ 204 მილიონის გადახდას ბიუჯეტის სასარგებლოდ. განცხადებაში მოცემული ფაქტები შეეხება მამეზა სიმართლეს, თუმცა ნაციონალიზმი მოძრაობის დასკვნა არ არის ლოკალური და სიცრუეა. 2014 წლის აპრილში, მას შემდეგ რაც 2013 წელს, კულტურის მინისტრის ბრძანების საფუძველზე საყდრის-ყაჩაღიანს მოესხნა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი და კომპანიას შეეძლო ამ უბანზე სამუშაოების წარმოება, კომპანიის მიმართვის საფუძველზე, მთავრობამ გააგრძელა

1994 წელს გაცემული ოცნლიანი ლიცენზიის მოქმედება მთვით, იმის გათვალისწინებით, რომ მანამდე 8 წელი (2006-2013 წლები) არ შეეძლო ესარგებლა სალიცენზიო ტერიტორიაზე არსებული საბადოთი. თუმცა, სასამართლო პროცესების გამო, საყდრის-ყაჩაღიანის ათვისება არ დაწყებულა და შესაბამისად, „არემჯის“ არანაირი შემოსავალი არ მიუღია, რადგან ეკონომიკური საქმიანობა არ უწარმოებია. გადასახადებს რაც შეეხება, ბატონი გივის განცხადებაში მითითებული 204 მილიონი ლარი წარმოადგენს სალიცენზიო გადასახადს, რომელიც კომპანიამ შეიძინა ახალი, ოცდაშვიდწლიანი ლიცენზია ოქროსა და სპილენძის მოპოვებაზე და

რომლის მოქმედება დაიწყო 2015 წლის 1 იანვარს. ეს იყო ეკონომიკური საქმიანობის შედეგად გადახდილი რეგულარული გადასახადი, არამედ წარმოადგენდა ერთჯერად გადასახადს ბიუჯეტში, რომლის შედარებაც ჩვენს შემთხვევაში არის სრულიად შეუსაბამო და დილემანტიური.

აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, ჩვენ გვსურს, განვახადოთ, რომ გივი თარგამაქის ბრალდება არის ტყუილი და ჩვენი ვარაუდით, მხოლოდ პოლიტიკური მიზნებით და საყდრისის პრობლემის კონსტრუქციული საკითხის დისკრედიტაციის მცდელობით არის ნაკარნახევი. შესაბამისად, ამ მიზნით „არემჯის“ საქმიანობაში კორუფციული კვალის ძიება სრულიად უადგილოა. ჩვენი კომპანიის საქმიანობა გამჭვირვალეა, სრულიად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას და ბიზნესის წარმოების ეთიკურ ნორმებს.



სტრუქციული საკითხის დისკრედიტაციის მცდელობით არის ნაკარნახევი. შესაბამისად, ამ მიზნით „არემჯის“ საქმიანობაში კორუფციული კვალის ძიება სრულიად უადგილოა. ჩვენი კომპანიის საქმიანობა გამჭვირვალეა, სრულიად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას და ბიზნესის წარმოების ეთიკურ ნორმებს.

სტუმარი

ქართული მუსიკა რუსეთში
ფიზიკოსთა ქალაქში

მოსკოვის მახლობლად მდებარე ფიზიკოსთა ქალაქი დუბნა მთელ მსოფლიოშია ცნობილი იქაური სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებითა და დიდებული მეცნიერული მიღწევებით. წლების მანძილზე დუბნაში არაერთი ჩვენი თანამემამულე, ქართველი ფიზიკოსი დიდი წარმატებით მოღვაწეობდა და ეს სახელოვანი ტრადიცია დღესდღეობითაც წარმატებით გრძელდება. ფიზიკოსები კი, მოგესხებებით, წმინდა მეცნიერული მისწრაფებების გარდა კიდევ მრავალმხრივი ინტერესების მქონე ხალხია, რომელთა შორის, ცხადია, ერთ-ერთი უპირველესი მუსიკაა. ამას კლასიკური ინსტრუმენტული მუსიკის ფესტივალის „სულის გაფრთხილება – 2014“ მოწმობს, რომელიც ცოტა ხნის წინათ დუბნაში ჩატარდა და რომლის ფარგლებში დიდი წარმატებით გაიმართა ჩვენი სასიქადულო კომპოზიტორის, საქართველოს სახალხო არტისტის, სახელმწიფო და შოთა რუსთაველის პრემიების ლაურეატის ვაჟა აზარაშვილის საავტორო კონცერტი.



თავადვე შეასრულა, მათ შორის, უბერებელი „დინამო, დინამო“, რამაც მსმენელი ალაფრთოვანა.

კონცერტის პროგრამაში იყო ვაჟა აზარაშვილის კვინტეტი ფორტეპიანოს, ორი ვიოლინოს, ალტისა და ვიოლონჩელისთვის, კონცერტი ვიოლენჩელოსა და ორკესტრისთვის, სონატინა ფორტეპიანოსთვის. სოლისტები იყვნენ საერთაშორისო კონკურსების ლაურეატები ანტონ პავლოვსკი (ვიოლონჩელი), სიმონ ელიზაროვი (ვიოლინო) და ელენე პოპკოვა (ფორტეპიანო). სხვა ეშხი ჰქონდა მსმენელთათვის ორკესტრის მიერ შესრულებული ნაწარმოებები „ვალს-მოგონებას“, „ფანტაზიას ძველი თბილისის თემზე“, „ნოქტიურნს“, „სენტიმენტალურ ტანგოსა“ და „კანკანს“.

ძალიან სასიამოვნოა, რომ დუბნაში გამართული კომპოზიტორის საავტორო კონცერტი DVD-ზეა ჩანერილი და, იმის გათვალისწინებით, რომ ახლო მომავალში ბატონი ვაჟას შემოქმედების ამსახველი რამდენიმე ათეული DVD-დისკი უნდა გამოვიდეს, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს.

საგანგებოდ მინდა აღვნიშნო, რომ კონცერტზე მუსიკოსთა შესრულებით ძალიან კმაყოფილი დავარჩი, – ხაზგასმით აღნიშნა კომპოზიტორმა. – საერთოდ, საკმოდ იშვიათობაა, რომ ავტორი შესრულებით კმაყოფილი დარჩეს. მხედველობაში, უნდა რესადა, „კვინტეტი“ მაქვს, რომელიც მანამდე სანკტ-პეტერბურგის სამუსიკო ფესტივალზე დაუკრეს და დიდი აღიარებაც მოიპოვა.

– დუბნაში ბევრი გულთბილი შეხვედრა მქონდა არა მარტო ჩვენს თანამემამულეებთან, იქაურ მეცნიერებთან, ინტელიგენციის წარმომადგენლებთან, – განაგრძობს საუბარს ბატონი ვაჟა. – მინდა, გითხრათ, რომ მე ის კაცი ვარ, რომელსაც ჩემი ქვეყნის სიყვარულში ვერავინ ვერ შემეჯიბრება. საქართველოსთვის უმძიმეს დროშიც კი, როცა უპურობა, უშუქობა, ათასგვარი სხვა უბედურება იყო ჩვენს თავს, აქედან წასვლა აზრადაც არ მომსვლია. ამით იმის თქმა მინდა, რომ ახლა, როცა საქართველოსა და რუსეთის შორის ასეთი დაძაბული ურთიერთობებია, კულტურების კონტაქტს ძალიან დიდი პოზიტიური როლის შესრულება შეუძლია. მეც ვეცადე ამ კეთილ საქმეში ჩემი პატარა წვლილი შემიტანა.

თავის დროზე ჩვენმა ცნობილმა ასტროლოგმა მიხეილ ცაგარელმა მითხრა, თქვენ ზოდიაქოს ნიშნით კირჩხიბი ბრძანდებით და ამიტომ საქართველოდან სხვაგან არსად წამსვლელი არა ხართო. მართალია ის კაცი, ვერაფერს ვიტყვი.

ოთარ ტურაბელიძე

26 сентября (пятница) 2014 г. ДК «МИР» Малый зал г. Дубна, вл. Высоцкого д.1 19 часов Фестиваль классической инструментальной музыки «Звучание Души» Народный артист Грузии композитор ВАЖА АЗАРАШВИЛИ АВТОРСКИЙ ВЕЧЕР В программе Концерт для виолончели с оркестром Квintет для 2 скрипок, альты, виолончели и фортепиано Оркестровые пьесы Песни в исполнении автора Солисты Лауреаты международных конкурсов Антон ПАВЛОВСКИЙ Семен ЕЛИЗАРОВ ДУБНЕНСКИЙ СИМФОНИЧЕСКИЙ ОРКЕСТР Дирижер Евгений СТАВИНСКИЙ

ვიდრე გავემგზავრებოდით, დუბნის სიმფონიურ ორკესტრს ჩემი ნაწარმოებების პარტიტურები გავუგზავნე, თუმცა კი, შემდეგ გავიგე, რომ ვიდრე იქით ჩავიდოდი, მანამდე ჩემი სამი ნაწარმოები შეესრულებინათ.

მინდა, გითხრათ, რომ კონცერტი შესანიშნავი, კარგი აკუსტიკის მქონე დარბაზში ჩატარდა და იქაური საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია. მასში მონაწილეობა სიმფონიური ორკესტრის სიმებიანი საკრავების ჯგუფმა მიიღო, რომელსაც შესანიშნავად უდირიჟორა ევგენი სტავინსკი.

დუბნაში ვაჟა აზარაშვილის საავტორო კონცერტზე შესრულდა კომპოზიტორის კამერული, სიმფონიური ნაწარმოებები, თანაც ბატონ ევგენი სტავინსკის თხოვნით კომპოზიტორმა რამდენიმე საკუთარი საესტრადო სიმღერა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი № 1	
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი 245444844
2	მისამართი/ტელეფონი ქ. ბათუმი, კომახიდის ქ № 119 / 0422 27 35 10
3	სარგებლობის ლიცენზიის სახე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
4	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის ა) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს მაღალი ჰიფსომეტრიული ნიშნულიდან ქვემოთ, სამთო საქმისათვის მიღებული წესებისა და ნორმების დაცვით. ბ) ობიექტის ბუნდვა-აფეთქებითი მეთოდით დამუშავების შემთხვევაში შერჩეული უნდა იქნეს მუხტების ოპტიმალური სიდიდე, რომელიც მაქსიმალურად გამოიცილებს აფეთქებისგან გამოწვეულ ნეგატიურ მოვლენებს. გ) დაუშვებელია ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ფუჭი ქანის ჩაყრა მდ. კინევისა და უსახელო დელის კალაპოტში. დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
5	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზედა კვირიკის მიმდებარე დანდუბო-ბაზალტის (საღორღე ნედლეული) სახადო, (საღორღე ნედლეული, კატეგორია-C, მოსაპოვებელი წიაღის ჯამური მოცულობა - 51 000 მ ³).
6	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა ქობულეთის მუნიციპალიტეტის, სოფ. ზედა კვირიკე.
7	აუქციონის საწყისი ფასი 7 167 ლარი
8	ბიჯის სიდიდე 716,7 ლარი (საწყისი ფასის 10 %)
9	უპირობო და გამოუნებო საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლბელი 3 200 ლარი
10	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 09 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 10 ნოემბერს დღის 18.00 საათზე
11	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 10 ნოემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 10 ნოემბერს დღის 18.00 საათზე
12	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა 10 წელი
13	სხვა მონაცემები აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

საოჯახო ალბომი



გულად იზიარებდა მის ყველა წუხილსაც და სიხარულსაც, რაც, ვფიქრობ, არ იქნებოდა ადვილი... მძიმე სენით დაავადებულს ხშირად უწევდა ოჯახიდან შორს, საავადმყოფოებსა და სანატორიუმებში ყოფნა, ერთ-ერთი ასეთია აბასთუმანში ყოფნის პერიოდი. აბასთუმანთან დაკავშირებული ერთი ლექსი მახსენდება: „აქ უყვართ უფრო ლაღოს ლექსები და ოცნებების ახდენის სჯერათ და რაღაც უჩინო და გატაცებით, იფერადებენ სავალს ცისფერად“... იფერადებდა სავალს ლამაზი ფიქრებით, ლექსთან საუბრით... ოჯახში გამოგზავნილ ერთ-ერთ წერილში წერს: „გაუფრთხილდით სიცოცხლეს, ის უფრო ძვირფასი ყოფილა, ვიდრე მეგონა“ ...

„გაუფრთხილდით სიცოცხლეს, ის უფრო ძვირფასი ყოფილა, ვიდრე მეგონა“

რას იტყვით მამაზე? როცა ის გარდაიცვალა, თქვენ 13 წლის იყავით. როგორი დაგამახსოვრდათ იგი?

გვესაუბრება პოპტ ნოდარ კვიციანი

გიძლენათ... „სევდიანი მონოლოგი შეილთან“... როგორ დაინერა ეს ლექსი? — ეს ლექსი იმ დროს დაუწერია, როცა მე ჯერ კიდევ ხუთი წლის ვიყავი და დეიდაჩემისთვის მიუცია. ლექსს აქვს ასეთი მინანური: „ძალი-



ან გთხოვ, ეს პატარა ლექსი ეკას შეუნახო, ვიდრე გაიზრდებოდეს, მჯერა, შემისრულდება ამ თხოვნას. მჯერა იმისიც, რომ ჩემს შვილებს ღირსეულად ადამიანებად გაზრდიან... ეს ლექსი წერილი არის ყველაზე ძვირფასი, რაც ჩემთვის არსებობს... — ნოდარ კვიციანი ნამდვილი პოეტის ცხოვრებით ცხოვრობდა. მან რამდენიმე ბრწყინვალე ლექსი შექმნა პოეტის ბედზე...

ჩემს მეხსიერებაში მასთან დაკავშირებული ყველა კადრი ჩაბეჭდილია. მისი გარდაცვალების შემდეგ, ფაქტობრივად, დამთავრდა ბავშვობა და დაიწყო ახალი ეტაპი ჩემს ცხოვრებაში — ფიქრის... მას შემდეგ მისი ლექსის ყველა ბნკარიდან, ყველა სტრიქონიდან ხელახლა ვეცნობი ნოდარ კვიციანს, როგორც მამას, როგორც პოეტს, მამულიშვილს, თავის ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებულ კაცს.

მეხსიერებას არაერთი ლამაზი მოგონება შემორჩა, მახსოვს, როგორ გვასწავლიდა შვილებს ადამიანების სიყვარულს, სიკეთის უზენაესობას, ამ ცისა და მიწის ტრფიალს. ლექსით სწეული კაცი იყო ნოდარ კვიციანი, მახსოვს, როგორი ალტაცებით გვიკითხავდა, რა ბედნიერი იყო, როცა ახალ, ნამდვილ ლექსთან უწევდა შეხვედრა. ერთი შეხედვით პირქუში, უკარება ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა, ძალიან ცოტა ადამიანთან ახერხებდა ურთიერთობას, საკუთარ ფიქრებთან გართული დადიოდა... გული კი სავსე ჰქონდა ადამიანების სიყვარულით...

ვინ იყვნენ მამის მეგობრები?


მამას არაჩვეულებრივი მეგობრები ჰყავდა, ხშირად იმაზე ფიქრი, რომ მას ამ ადამიანებთან ურთიერთობის საშუალება ჰქონდა, შეეხებოდა მგერის, ვფიქრობ, რომ ეს მისთვის დიდი ბედნიერება იყო. სვანეთში იმუჟამად გაზეთი „ახალი სვანეთი“ გამოდიოდა, სადაც არაჩვეულებრივი კოლექტივი იყო თავმოყრილი, დიდებული ვალერიან სალიანი, ელა გურჩიანი, ლუცინდა შამფრიანი, ვაჟა ხვისტიანი, მანანა ჯაფარიძე და სხვები. ეს იყო ერთ ოჯახად ქცეული ხალხი, ერთი საფიქრალის, ერთი სატყვიარის, ერთი სიხარულის ირგვლივ გაერთიანებული ადამიანები. მე მახსოვს ის ხანგრძლივი გლოვა და ცრემლი, რასაც ამ ადამიანებთან ვხედავდი ნოდარის გარდაცვალების გამო...

როგორ ცხოვრობდა იგი?

მამა ცხოვრობდა მართალი კაცის ბედით და უბედობით... სვანეთში, მშობლიურ სოფელ ბეჩოში, მამაპაპისეულ სახლში. არასდროს უფიქრია ამ სახლის, მშობლიური მიწა-წყლის მიტოვება, ერთგან წერს: „მე აქ დარჩენილ მამის ოცნებას და დედის ცრემლებს სხვას ვერ მივანდობ“...

ყოფით პრობლემებთან პირისპირ მამა ბავშვივით უსუსური იყო, ამიტომ ოჯახის მართვა, ფაქტობრივად, დედას უწევდა. დედა მთელი ცხოვრება დაუღალავად, ერთ-

წერილი თელავივიდან



საქართველო-ისრაელი, 26-საუკუნოვანი ქობა

აბაგლარი - დავით ხუბელაშვილი

ისრაელსა და საქართველოში ცნობილია მსახიობმა, რეჟისორმა, მხატვრული კითხვის უბადლო ოსტატმა, საზოგადო მოღვაწემ დავით ხუბელაშვილმა ისრაელში ამოსვლისთანავე ალღო აუღო არსებულ სინამდვილეს, ახალმოსულთა აბსორბციის სირთულესა და სიძნელეებს. რაოდენ მნიშვნელოვანი იყო იმ პერიოდში ქართულენოვანი თეატრის ჩამოყალიბება, პერიოდში, როდესაც ახალმოსულნი, ჯერ კიდევ არ ფლობდნენ ივრითს. მათთვის აუცილებელი იყო სულიერი საზრდოს მიწოდება მშობლიურ ენაზე. ამიტომ ყოველთვის და ყველგან გამოხატავნ გულწრფელ მადლობას ისრაელში ქართული თეატრის მესაძირკვლისა და შემოქმედებითი პროცესის წარმმართველის დავით ხუბელაშვილისადმი.

საოცარია, რაოდენ მდიდარი ბიბლიოთეკა, ისტორიული მნიშვნელობის არქივი შეუქმნია ბატონ დავითს. მხოლოდ ასეთ შრომისმოყვარე, ბევრით, მიზანსწრაფულ, საქმის უაღრესად ერთგულ და საოცარ ნებისყოფის მქონე პიროვნებას, როგორც ბატონი დავით ხუბელაშვილია, შეეძლო, განეხორციელებინა ასეთი შრომატევადი და ძალზე საბასუსისმგებლო საქმე. ეს მასალები მან გამოაქვეყნა წიგნში „ორ ქვეყანას გადანვდენილი რამების შუქი“.

აღსანიშნავია, რომ წიგნის რედაქტორი გახლავთ პროფესორი რუბენ ენოხი (ენუქაშვილი), ცნობილი მეცნიერი და ქართველოლოგი. ბატონი დავითის თეატრალურ მოღვაწეობას საფუძველი ფოთის სახელმწიფო თეატრში ჩაეყარა. 1972 წლიდან დავით ხუბელაშვილი ისრაელში ამოღის. წიგნში წარმოჩენილია ისრაელში ქართული თეატრის მიერ განვლილი გზის ამსახველი დოკუმენტური მასალები. ჯერ ხაიფასა და ჩრდილოეთის ოლქის თეატრში, შემდეგ კი ქ. ხოლონში, სადაც დავითმა ჩამოაყალიბა გერცულ ბაზოვის სახელობის ქართულენოვანი თეატრი. უნდა აღინიშნოს, რომ დავით ხუბელაშვილის წიგნის გამოცემაზე დიდი გამოხმაურება და მადალი შეფასება ჰპოვა როგორც ისრაელში, ისე საქართველოში.

რიკა ზოპარ-დავითაშვილი.

ალიანჯალიანი

თბილისში ტემპერატურა მკვეთრად დაეცა

დღეს დასავლეთ საქართველოში გამოიდარებს, თუმცა აღმოსავლეთ საქართველოში ნალექი შენარჩუნდება. გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, დასავლეთ საქართველოში დღე უნალექოდ ჩაივლის, იქროლებს აღმოსავლეთის ქარი 10-15, ზოგან კი 20-25 მეტრი/წამში. დაბლობში 18-23 გრადუსი სითბო დაფიქსირდება, მთაში 15-20, ხოლო მაღალ მთაში 9-14. აღმოსავლეთ საქართველოს უმეტეს რეგიონში ხვალ წვიმა მოსალოდნელი. სინოპტიკოსები კახეთში ძლიერ ნალექსა და ნისლს პროგნოზირებენ, მაღალმთიან რეგიონებში კი თოვლქაბაა მოსალოდნელი. აქაც დაუბერავს აღმოსავლეთის ქარი 10-15, გორი-სურამის მონაკვეთზე კი 17-22 მეტრი/წამში. დაბლობში ტემპერატურა 10-15 გრადუსამდე დაიწვეს, მთაში 13-18 გრადუსს გაუტოლდება, მაღალ მთაში 5-10, ჩრდილო მაღალმთიან რეგიონებში კი 0-5 გრადუსი დაფიქსირდება. სინოპტიკოსების ცნობით, ხვალ თბილისშიც მოსალოდნელია წვიმა და ნისლი. აქაც დაუბერავს სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარი 8-13 მეტრი/წამში. ტემპერატურა 13 გრადუსამდე დაეცემა.



ნალექიანი ამინდისა და დაბალი ტემპერატურის შენარჩუნებას სინოპტიკოსები კვირის ბოლომდე პროგნოზირებენ.

ვიტარაზა

შენს, ბრუტუს?!



საძარტველს თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრების წევრები სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრ ლევან ყიფიანთან შეხვედრის შემდეგ აცხადებენ, რომ ეროვნული გუნდები ვარჯიშს დღეიდან განაახლებენ, ფედერაციის სამეთვალყურეო საბჭო კი რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებს დანიშნავს.

დაძლევა შესაძლებელია. სამეთვალყურეო საბჭო გააგრძელებს მუშაობას, რომ დაინიშნოს რიგგარეშე არჩევნები. დასკვნა უახლოეს დღეებში დაიდება, — განაცხადა ყიფიანმა.

კახან ლულიძე

პირსაქმე

ხელისუფლება ფეხბურთის განვითარების ფონდის შექმნაზე მუშაობს

— ძართული ფეხბურთის მშენებლობა ფუნდამენტიდან არის დასაწყისი, — განუცხადა ჟურნალისტებს ვიცე-პრემიერმა კახა კალაძემ. მისი ინფორმაციით, ქართული ფეხბურთის განვითარების მიზნით, სახელმწიფო ფეხბურთის განვითარების ფონდის შექმნაზე მუშაობს.



თის მშენებლობა ფუნდამენტიდან უნდა დაიწყოს. მდგომარეობა, რომელშიც ქართული

ფეხბურთი იმყოფება, ძალიან მძიმეა. სახელმწიფო მუშაობს ფეხბურთის განვითარების ფონდის შექმნაზე. ამ მიმართულებით პრემიერ-მინისტრი პირადად არის ჩართული და აქტიურად მუშაობს. გადანაცვლება იქნება მიღებული, რომ ფეხბურთის აღორძინების მიზნით განხორციელდეს ინვესტიციები და შეიქმნას სათანადო ინფრასტრუქტურა, — აღნიშნა კახა კალაძემ.

გიორგი შოთაძე

დღოვა

„შალკეს“ დი მათეო გაუქმდება

გელზინკირხენის „შალკეს“ ოფიციალური „ტვიტერის“ ცნობით, იენს კელერის ნაცვლად „ხუმარების“ მთავარ მწვრთნელად იტალიელი რობერტო დი მათეო დაინიშნა. 44 წლის კელერი „შალკეში“ 2012 წლის დეკემბრიდან მუშაობდა.



გელზინკირხენელებმა დამრიგებლის შეცვლა მას შემდეგ განიზრახეს, რაც „შალკემ“ მიმდინარე ბუნდესლიგაში 7 ტურში მხოლოდ 8 ქულის დაგროვება მოახერხა და სატურნირო ცხრილში მეთერთმეტე პოზიციაზეა.

დი მათეოს რაც შეეხება, 2012 წლის ნოემბრის შემდეგ არსად მუშაობდა, მანამდე კი, გესსომებათ, ლონდონის „ჩელსის“ ჩემპიონთა ლიგა მოაგებინა. გელზინკირხენელებმა ახალ მთავარ მწვრთნელთან ხელშეკრულება 2017 წლის ივნისამდე გააფორმეს.

კობა კობახიძე

კვალი

„იუვენტუსი“ და „რომა“ დასაჯეს

იტალიური მედიის ინფორმაციით, სერია A-ს სადისციპლინო კომიტეტმა ტურინის „იუვენტუსს“ და „რომას“ ფულადი ჯარიმების გადახდა გულშემატკივრების ცუდი საქციელის გამო დააკისრა.

იტალიის ჩემპიონატის მეექვსე ტურში „ბიანკონერმა“ „მგლენი“ 3:2 დაამარცხა, ტურინელი ტიფოზები კი „რომას“ ფეხბურთელებს ლაზერის მეშვეობით თამაშში ხელს უშლიდნენ და აგრეთვე სტუმართა გულშემატკივრების სექტორს ფლაგერებს ესროდნენ. მატჩის დღეგატმა ეს ყველაფერი სადისციპლინო კომიტეტს მოახსენა და „იუვე“ 30000 ევროთი დაისაჯა.

მეორეს მხრივ „რომას“ გულშემატკივრებიც ცუდად იქცეოდნენ, მოედანზე ბოთლებს და სხვადასხვა ტიპის საგნებს ისროდნენ და ამის გამო საკუთარი გუნდი 20000 ევროთი აზარალეს.

აღნიშნულ მატჩში მთავარმა არბიტრმა ორივე გუნდს ჯამში 8 ყვითელი და 2 წითელი ბარათი უჩვენა. უხეში თამაში იყო და რა გასაკვირია, გულშემატკივრების ცუდი საქციელი.

ვიტალი ჯაფარიძე



ინტერნეტიდან

ვინ გააბრაზა ვალერია სოპოლოვა?

ცნობილი რუსი მოდელი ვალერია სოპოლოვა ნამეტანი გაუნანყებიათ რუსეთის საფეხბურთო ჩინოსნებს. როგორც იცით, მიუხედავად რუსეთის სახელმწიფოს ნაციფრობისა, მსოფლიოს მომდევნო საფეხბურთო ჩემპიონატი სწორედ ამ ქვეყანაში ტარდება და ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტმა საამისო მუშაობაც დაიწყო.

ვალერია სოპოლოვა, სხვა ასეულობით ცნობილ რუს მოდელთან ერთად, ჯერ კიდევ შარშან მიინვიეს რუსეთის საფეხბურთო კავშირში და ხელი მოანერინეს კონტრაქტზე, რომლის მიხედვით იგი ვალდებულია რუსი საფეხბურთო მამების პირველივე დამხილზე მოსკოვში გამოცხადდეს და ჩემპიონატის საიმპიჯო ლონსიძებში მიიღოს მონაწილეობა.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ვალერია სოპოლოვა გადარეულა, როცა აღმოუჩინა, რომ კონტრაქტში ანაზღაურების თანხა საერთოდ არ იყო მითითებული. თურმე ჩემპიონატის ორგანიზატორებს ჰგონიათ, რომ ასეთი ცნობილი მოდელი მათ უფასოდ მოემსახურება. ნურას უკაცრავად!

როსტომ რაჭველიშვილი



გვასახელა!

გიგა ჭიკაძემ ნოკაუტით იპარჯვა

ამსტერდამში ქართველ კიკბოქსიორ გიგა ჭიკაძესა და რუსეთის წარმომადგენელ არმენ ზაკიანს (72.5) შორის K-1-ის წესებით საჩემპიონო ორთაბრძოლა გაიმართა.



ჭიკაძემ მეტოქე მეორე რაუნდში ნოკაუტით დაამარცხა.

ლონისძიების ორგანიზატორი იყო ჰოლანდიაში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პრომოუშენი — Fight Fans.

ორთაბრძოლა ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ კამპანიას მიეძღვნა.

მანუჩარ გიორგაძე

რაგბი

„ყოჩები“ — სრული სვლით

საძარტველს მორაგბეთა ეროვნული ჩემპიონატის მე-5 ტურში ცენტრალური შეხვედრა გაიმართა გათამაშების ლი-

ხელიდან არ გაუშვა — 19:18 გამარჯვდა „ყოჩებმა“.

წლებიდან სეზონში ქუთაისის „აიამ“ გასვლით მატჩში



დერ ბოლნისის „ყოჩებსა“ და ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონ თბილისის „ლოკომოტივის“ შორის. ანგარიში მე-8 წუთზე რკინიგზელებმა გახსნეს (საჯარიმო დარტყმა უნაკლოდ შეასრულა ნიკლაურმა. სამი წუთის შემდეგ ბოლნისელებმა ლელო (გუგუნავა) მიითვალეს.

პირველი გამარჯვება მოიპოვა — რიონისპირელებმა თბილისში „არმიას“ სძლიეს 10:9. ამავე ტურში „არმაზმა“ „ბათუმს“ მოუგო — 23:22.

Table with 6 columns: Team, W, D, L, Points, Bonus. Lists teams like 'ყოჩები', 'ხარები', 'ლელო', etc.

VI ტურში ითამაშებენ: „ლოკომოტივი“ — თიბიეს, „ყოჩები“ — „არმია“, „აიამ“ — „ლელო“, „ჯიქი“ — „ბათუმი“, „არმაზი“ — „ხარები“.

ლემსო ცინცაძე

